ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი **ნიკოლოზ ჯავახიშვილი** 2023 წლის 1-19 სექტემბერს სამეცნიერო მივლინებით იმყოფება ლიეტუვასა და ლატვიაში.

ვილნიუსის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ის წაიკითხავს ლექციათა მოკლე კურსს თემაზე: ***„ლიეტუვურ-ქართული ორმხრივი ურთიერთობანი: ისტორია და თანამედროვეობა“.*** ასევე, ლატვიაში, ქალაქ რიგაში, ლატვიის ქართული დიასპორის წევრებისათვის ნ. ჯავახიშვილი საჯარო ლექციებს წაიკითხავს.